ა(ა)იპ ევროპის ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალის თბილისი 2015-ს საორგანიზაციო
კომიტეტის საკონკურსო კომისიის სხდომის
ო ქ მ ი №2

ქ. თბილისი 07.11.2014 წ.

საკონკურსო კომისია

მანანა ბერიკაშვილი - კომისიის თავმჯდომარე
აკაკი ლოდია - კომისიის წევრი
ბასა ფოცხიშვილი - კომისიის წევრი
ემზარ ზენაიშვილი - კომისიის წევრი
ნიკოლოზ რაჭველი - კომისიის წევრი
ალექსი ახვლედიანი - კომისიის წევრი

დღის წესრიგი

- ევროპის ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალის „თბილის 2015"-ს გახსნა-დახურვის პროექტის მომზადების შესყიდვის მიზნით გამოცხადებული კონკურსის #1366 შედეგების განხილვა.
- აღნიშნულ კონკურსთან დაკავშირებით საკონკურსო წინადადება წარმოადგინა მხოლოდ ერთმა კონკურსანტმა : შპს "Art One" (ს/ნ 404947947)

მომხსენებლები:
პირველი მომხსენებელი: კომისიის წევრი - ბ-ნ. ალექსი ახვლედიანი
წარმოადგინა საკონკურსო მოთხოვნები და კონკურსის სპეციფიკა, საკონკურსო კომისიის სიითი და დამსწრე შემადგენლობა. აღნიშნა, რომ კომისიის წევრის, აკაკი ლოდიას სათათბირო ხმა მისივე თანხმობით გადაეცა ალექსი ახვლედიანს და გადასცა უფლება მოაწეროს ხელი საკონკურსო კომისიის კრების ოქმს კონკურსში გამარჯვებული კანდიდატის გამოვლენის შესახებ.

მეორე მომხსენებელი: კონკურსანტის (შპს „Art one") წარმომადგენელი - დავით დოიაშვილი
მომხსენებელმა საკონკურსო კომისიას გააცნო წარმოდგენილი პროექტი, მისი შინაარსი, შესრულების თავისებურებანი და სავარაუდო ბიუჯეტი.

განიხილეს:

საკონკურსო კომისიამ განიხილა კონკურსანტის მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება. აღმოჩნდა რომ წინადადება წარმოდგენილ იქნა დაგვიანებით. კომისიამ გაითვალისწინა რა ის გარემოება, რომ წინადადების წარმოდგენა მოხდა კომისიის სხდომის გამართვამდე, მიზანშეწონილად ჩათვალა მისი განსახილველად დაშვება. საკონკურსო კომისიამ განიხილა შპს "Art One"-ის მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება.

კომისიამ დაადგინა

1. შპს "Art One" -ის მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება შეესაბამება საკონკურსო განაცხადისა და საკონკურსო დოკუმენტაციის მოთხოვნებს. შესაბამისად, შპს "Art One" გამოვლინდეს გამარჯვებულად.
2. მოწვეულ იქნეს შპს "Art One"-ის უფლებამოსილი პირი 4 სამუშაო დღეში ხელშეკრულების გასაფორმებლად.

3. შესაბამისი წესით ეცნობოს შპს "Art One"-ის ხელმძღვანელობას კომისიის დადგენილების შესახებ.

კომისიის თავმჯდომარე
მანანა ბერიკაშვილი ______________________

კომისიის წევრები:

ბასა ფოცხიშვილი ______________________

აკაკი ლოდია ______________________

ემზარ ზენაიშვილი არ ესწრებოდა (იმყოფება მივლინებაში)

ნიკოლოზ რაჭველი ______________________

ალექსი ახვლედიანი ______________________